

ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში:
ერთიანი მიზნები, განსხვავებული მიდგომები

მარიამ მეგანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ ძეგანიძე

01.02.2016

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ევროკავშირის, როგორც ნორმატიული ძალის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში. კონკრეტულად განიხილოს ევროკავშირის სტრატეგია და დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური პროცესების დროს წლებისა და ამ რეგიონის განვითარების მიხედვით. განხილულია პერიოდი ENP- ის შექმნიდან ასოცირების ხელშეკრულებამდე. კვლევის საგანია იყო თუ არა ყველაზე დიდი და დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროკავშირის მიდგომა ერთნაირი ამ ორი ქვეყნის მიმართ. ნაშრომში განხილულია ამ ორი ქვეყნის ეროვნული სამოქმედო გეგმები, ასევე ევროკომისიის ანგარიშები, დასკვნები და რეკომენდაციები. მთავარი კითხვაა რა განაპირობებს განსხვავებულ შედეგებს სომხეთსა და საქართველოში, ანუ რით იყო განპირობებული სომხეთის ბოლო დროინდელი გადაწყვეტილებები ევროკავშირთან მიმართებაში.

ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, შესაბამისად განხილული იქნება და დიდი ნაწილი დაეთმოება შემთხვევის შესწავლის მეთოდებს. ნაშრომში განხილულია ის რეფორმები და გარდატეხები, რაც საქართველომ და სომხეთმა ევროკავშირთან თანამშრომლობის შემდეგ განახორციელეს ქვეყნებში.

ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია რეგიონის განვითარებით. ნაშრომში დასმულია კითხვა: არის თუ არა ევროკავშირის დამოკიდებულება, პოლიტიკა, რეგიონის ორი ქვეყნის სომხეთისა და საქართველოს მიმართ ერთნაირი? კითხვაზე პასუხია, რომ ევროკავშირის პოლიტიკა და მიდგომა ერთნაირია, რაზეც ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარებები, თანამშრომლობა და ხელშეკრულებებიც მოწმობს. სამხრეთ კავკასიაში მდებარე ორი ქვეყანა, სომხეთი და საქართველო ქვეყნის საგარეო კურსს თავად ირჩევენ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქვეყნის საგარეო კურსს თავად სომხეთის ხელისუფლება განკარგავს და სწორედ მისი გადაწყვეტილებით მიაღწია ქვეყანამ საქართველოსგან განსხვავებულ პოზიციას

ევროკავშირთან მიმართებაში. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია დასავლეთი, ამის შესახებ უკვე წლებია ღიად საუბრობს ქართული ხელისუფლება, საქართველო ცდილობს პატარა ქვეყანა მოექცეს დასავლეთის ფრთის ქვეშ, ისე, რომ მას კრიზისულ ვითარებაში ქონდეს დასავლეთის ასევე ევროკავშირის მხარდაჭერის უნარი. განსხვავებული მდგომარეობაა სომხეთის საგარეო კურსთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი წლების წინ საქართველოსა და სომხეთს ერთ სიბრტყეზედა ერთ ჭრილში განიხილავდა თანამშრომლობის კუთხით, სომხეთმა კურსი შეიცვალა და ევროინტეგრაციის ნაცვლად ევრაზიული კავშირი აირჩია. ნაშრომში განხილულია მაგალითები თუ რა გახდა ამ გადაწყვეტილების გამომწვევი მიზეზი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სომხეთის საგარეო კურსი ეფუძნება ეკონომიკურ და უსაფრთხოებასთანდაკავშირებულ საკითხებს. ერთ-ერთი მთავარი ყარაბაღის საკითხია, სომხეთს კონფლიქტის დროს რუსეთის მხარდაჭერის იმედი აქვს. რაც შეეხება ეკონომიკას კი ინვესტიციების დიდი ნაწილი რუსულია, გაზის მიმწოდებლები კი რუსები არიან. აქვე ჩნდება მესამე სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობაც. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომის ერთ-ერთ თავში განხილულია რუსეთის ფაქტორიც, იქონია თუ არა რუსეთმა გავლენა სომხეთის საგარეო პოლიტიკის კურსის ცვლილებაზე.

სამიეზო სიტყვა: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, აღმსოავლეთ პარტნიორობა, სამხრეთ კავკასია

Abstract:

This paper looks at the European Union (EU) process of engagement in the South Caucasus (Armenia and Georgia) in the context of its Neighborhood Policy. It looks at how divergent perceptions of the region, both inwards and outwards-driven, impact on regional policy choices, with an emphasis on regional cooperation. Though these states remark on the outlived usefulness of artificial framings, and regional cooperation among the three is virtually non-existent, when engaged in larger and wide-ranging formats, cooperation might not only be possible, but fruitful. It is therefore argued that regional cooperation should overcome the artificially constructed “South Caucasus” regional label and unfold along different patterns and variable compositions. If about two decades ago the region was quite neglected, today it is in the center of attention. Many people can not understand the change of thinking and attitude towards the region and often ask the question “Why the South Caucasus matter”. Many articles and books were devoted to the subject and this is one more attempt to answer the question. The thesis analyses the South Caucasian region and its importance for the main political players on the international political stage the European Union and Russia.